

# შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება .....	4

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია .....	5
2. მომზადების საფუძველი .....	5
3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები .....	6
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....	7
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....	13
6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული .....	14
7. ძირითადი საშუალებები .....	15
8. არამატერიალური აქტივები .....	16
9. ინვესტიციები .....	16
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....	16
11. გაცემული სესხი .....	16
12. ფული და ფულის ეკვივალენტები .....	17
13. კაპიტალი .....	17
14. გადასახადები .....	17
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....	17
16. სხვა შემოსულობა .....	18
17. თანამშრომელთა სარგებელი .....	18
18. სხვა საოპერაციო ხარჯები .....	18
19. პირობითი ვალდებულებები .....	18
20. ფინანსური რისკების მართვა .....	19
21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან .....	22
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....	22

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“-ის მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“-ს (შემდეგში ასევე კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ გაუწევია საბროკერო მომსახურება შესაბამისად, საკუთარი ოპერაციებით სრულად ვერ აფინანსებს მიმდინარე დანახარჯებს, რის გამოც ამ ეტაპზე იყენებს დაფინანსების გარე წყაროებს და დამოკიდებულია მომავალში დაგეგმილი პროექტების წარმატებაზე. ეს მოვლენები და პირობები მიუთითებს, რომ ძირითადი საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება არსებითად არის დამოკიდებული მომავალზე. მენეჯმენტს და დამფუძნებელს სჯერათ, რომ კომპანია გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას, მანამდე კი კომპანიის მეწილე გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში კომპანია უზრუნველყოს საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისთვის საჭირო ფინანსებით.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი

მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

31 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო

მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

31 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო

**შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2024
<b>აქტივები</b>				
ძირითადი საშუალებები	7	31,363	40,315	67,895
არამატერიალური აქტივები	8	5,176	7,066	16,701
ინვესტიციები	9	4,100	4,100	4,100
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	34,553	96,623	38,528
გაცემული სესხი	11	465,682		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები		-	-	103,362
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	18,689	418,874	263,345
<b>სულ აქტივები</b>		<b>559,563</b>	<b>566,978</b>	<b>493,931</b>
<b>კაპიტალი</b>				
საწესდებო კაპიტალი	13	510,467	510,467	510,467
სხვა რეზერვები	13	40,000	40,000	-
დაუფარავი ზარალი	13	(7,114)	10,888	(18,267)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>543,353</b>	<b>561,355</b>	<b>492,200</b>
<b>ვალდებულებები</b>				
საგადასახადო ვალდებულება	14	-	700	129
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	16,210	4,923	1,602
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>16,210</b>	<b>5,623</b>	<b>1,731</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>559,563</b>	<b>566,978</b>	<b>493,931</b>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 31 მარტს:

მურათ აქარ  
დირექტორი

ჩილდემ ოზთურქ ფულათოღლუ  
დირექტორი


შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2024
<b>აქტივები</b>				
ძირითადი საშუალებები	7	31,363	40,315	67,895
არამატერიალური აქტივები	8	5,176	7,066	16,701
ინვესტიციები	9	4,100	4,100	4,100
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	34,553	96,623	38,528
გაცემული სესხი	11	465,682		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები		-	-	103,362
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	18,689	418,874	263,345
<b>სულ აქტივები</b>		<b>559,563</b>	<b>566,978</b>	<b>493,931</b>
<b>კაპიტალი</b>				
საწესდებო კაპიტალი	13	510,467	510,467	510,467
სხვა რეზერვები	13	40,000	40,000	-
დაუფარავი ზარალი	13	(7,114)	10,888	(18,267)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>543,353</b>	<b>561,355</b>	<b>492,200</b>
<b>ვალდებულებები</b>				
საგადასახადო ვალდებულება	14	-	700	129
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	16,210	4,923	1,602
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>16,210</b>	<b>5,623</b>	<b>1,731</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>559,563</b>	<b>566,978</b>	<b>493,931</b>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 31 მარტს:

  
 მურათ აქარ  
 დირექტორი

  
 ჩილდემ ოშთურქ ფულათოდლუ  
 დირექტორი

შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2025	2024 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან		-	30,888
საპროცენტო შემოსავალი		26,125	9,244
სხვა შემოსულობა	16	169	53,751
<b>სულ შემოსავალი</b>		<b>26,294</b>	<b>93,883</b>
თანამშრომელთა სარგებელი	17	(14,513)	(15,150)
ცვეთა და ამორტიზაცია		(10,843)	(37,215)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(10,186)	(22,270)
წმინდა ზარალი/(მოგება) საკურსო სხვაობიდან		(8,754)	9,907
<b>(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>(18,002)</b>	<b>29,155</b>
მოგების გადასახადი		-	-
<b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>		<b>(18,002)</b>	<b>29,155</b>

შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვი	დაუფარავი ზარალი/(მოგება)	სულ
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>510,467</b>	<b>-</b>	<b>(18,267)</b>	<b>492,200</b>
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	-	29,155	29,155
<b>მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:</b>				
სხვა რეზერვის ზრდა	-	40,000	-	40,000
<b>31 დეკემბერი 2024 (გადაანგარიშებული)</b>	<b>510,467</b>	<b>40,000</b>	<b>10,888</b>	<b>561,355</b>
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	-	(18,002)	(18,002)
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>510,467</b>	<b>40,000</b>	<b>(7,114)</b>	<b>543,353</b>

**შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტი“**

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2025	2024 (გადაანგარიშებული)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>		
<b>ზარალი/(მოგება) დაბეგვრამდე</b>	<b>(18,002)</b>	<b>29,155</b>
<b>არაფულადი კორექტირებები:</b>		
ცვეთა და ამორტიზაცია	10,843	37,215
საპროცენტო შემოსავალი	(26,125)	(9,244)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	8,754	(9,907)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე</b>	<b>(24,530)</b>	<b>47,219</b>
<b>სამუშაო კაპიტალის კორექტირება:</b>		
<b>შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:</b>		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	62,070	(58,518)
ცვლილებები ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღებ თანხებში	-	103,362
<b>(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:</b>		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11,287	3,321
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(700)	571
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე</b>	<b>48,127</b>	<b>95,955</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>48,127</b>	<b>95,955</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
მიღებული პროცენტი	10,442	9,244
გაცემული სესხი	(450,000)	-
დამფუძნებლისგან მიღებული ფული	-	40,000
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>(439,558)</b>	<b>49,244</b>
<b>ნეტო (შემცირება)/ზრდა ფულის და ფულადი ეკვივალენტების</b>	<b>(391,431)</b>	<b>145,199</b>
<b>ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში</b>	<b>418,874</b>	<b>263,345</b>
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(8,754)	10,330
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>18,689</b>	<b>418,874</b>

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 1. კორპორატიული ინფორმაცია

„აბი ასეტ მენეჯმენტი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოში 2007 წლის 31 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205207970.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კერძო კლიენტებისთვის საბროკერო, აქტივების მართვის და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართულებით. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანია ასევე წარმოადგენს საქართველოს საფონდო ბირჟის წევრს.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ქალაქი ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა, N 1ა.

**კომპანიის მეწილეები:** საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა არ შეცვლილა და ანგარიშგების თარიღისათვის, ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფატმა ოზთურქ გუმუშსუ (თურქეთი).

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

#### 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არის განსაზღვრული. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მსჯელობა ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით მოცემულია მეოთხე შენიშვნაში.

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

**შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

• უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსის დროებითი არარსებობა (ცვლილებები ბასს 21-ში)- განსაზღვრავს თუ როგორ უნდა შეაფასოს ორგანიზაციამ ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა და დაადგინოს მიმდინარე გაცვლითი კურსი საანგარიშოდ ერთი ვალუტის სხვა ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებები ასევე აწესებს ახალ გამჟღავნების მოთხოვნებს, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ შეფასებული სავალუტო კურსის გამოყენების ეფექტის შეფასება.

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

**3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები**

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

**წინა პერიოდის კორექტირება**

2025 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩნდა რომ, წინა საანგარიშგებო პერიოდში არ იყო აღიარებული სხვა შემოსულობა 53,751 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა სასამართლო დავის კომპანიის სასარგებლოდ დასრულების შედეგად. გასულ პერიოდში აღნიშნული წარდგენილი იყო როგორც მიმდინარე სასამართლო დავა.

2024 წლის შედეგებზე კორექტირების ეფექტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2024	კორექტირება	2024 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	30,888	-	30,888
საპროცენტო შემოსავალი	9,244	-	9,244
სხვა შემოსავალი	-	53,751	53,751
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>40,132</b>	<b>53,751</b>	<b>93,883</b>
თანამშრომელთა სარგებელი	(15,150)	-	(15,150)
ცვეთა და ამორტიზაცია	(37,215)	-	(37,215)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(22,270)	-	(22,270)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	9,907	-	9,907
<b>მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე</b>	<b>(24,596)</b>	<b>53,751</b>	<b>29,155</b>
მოგების გადასახადი	-	-	-
<b>წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>	<b>(24,596)</b>	<b>53,751</b>	<b>29,155</b>

**შპს „აბი ასეტ მენჯემენტი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**3. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორექტირების ეფექტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	კორექტირება	31 დეკემბერი 2024 (გადაანგარიშებული)
<b>აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	40,315	-	40,315
არამატერიალური აქტივები	7,066	-	7,066
ინვესტიციები	4,100	-	4,100
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	42,872	53,751	96,623
გაცემული სესხი	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	418,874	-	418,874
<b>სულ აქტივები</b>	<b>513,227</b>	<b>53,751</b>	<b>566,978</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	510,467	-	510,467
სხვა რეზერვები და დაფინანსება	40,000	-	40,000
გაუნაწილებელი (ზარალი)/მოგება	(42,863)	53,751	10,888
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>507,604</b>	<b>53,751</b>	<b>561,355</b>
<b>ვალდებულებები</b>			
საგადასახადო ვალდებულებები	700	-	700
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,923	-	4,923
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>5,623</b>	<b>-</b>	<b>5,623</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>513,227</b>	<b>53,751</b>	<b>566,978</b>

**4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2025	2.6951	3.1737
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306
1 იანვარი 2024	2.6894	2.9753

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე, ასევე სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**ძირითადი საშუალებები.** ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	3 - 5

**არამატერიალური აქტივები.** კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აღირიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთვებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

**4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების კომპანიიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

**ფინანსური ინსტრუმენტები.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოდგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო

ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

• **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური

აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღიარდება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღიარდება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის)

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

**ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს

ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო

განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულად ნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

**წილობრივი ინსტრუმენტები.** წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მიდგომას. კომპანია მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან ერთი თვის განმავლობაში.

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** კომპანიის ფინანსური აქტივები, ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის, ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და კომპანიის აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL). ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

**კლიენტების მოზარებული აქტივები/კლიენტების ანგარიშები.** მოიცავს აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებსაც კომპანია ფლობს კლიენტთან გაფორმებული იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც კომპანიას აქვს უფლება განკარგოს კლიენტის მიერ მოზარებული სახსრები. შესაბამისი აქტივი/ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულებით. ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში აისახება ერთდროულად აქტივის და ვალდებულების მხარეს. შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებას არ აქვს გავლენა კომპანიის ლიკვიდობისა და სავალუტო რისკებზე, ვინაიდან კლიენტების მოზარებული აქტივების ცვლილება, ასევე იწვევს ვალდებულებების ანგარიშის შესაბამის ცვლილებას.

**სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ზარალის ანარიცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით.

**მოგების გადასახადი.** 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო

## შპს „აბი ასეტ მენჯემენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა დღგ-ისგან გათავისუფლებულია.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი ივარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან.** კომპანია კლიენტებს სთავაზობს ფასიანი ქაღალდების განთავსების მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მომსახურებებს, ასევე ეწევა საკონსულტაციო მომსახურებას ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებით.

შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან აღიარდება შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების შესაბამისად ან მომსახურების გაწევისთანავე.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**კლასიფიკაცია ლიკვიდურობის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ლიკვიდურობის მიხედვით.

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

##### • რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური

მიდგომა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი დანაკარგები შეფასებულ იქნა როგორც არაარსებითი ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის.

##### • საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

##### • რეალური ღირებულების განსაზღვრა

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული);

დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

• **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** კომპანიის უნარზე განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ გავლენას ახდენს შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები:

- დაუფარავი ზარალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 7,114 ლარს.
- კომპანიებმა შეაჩერეს ოპერაციები აქციების განთავსებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები კომპანიას არ უფიქსირდება.

იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მენეჯმენტმა გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები:

როგორც საანგარიშგებო, ასევე ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში, კომპანია ძირითადად კონცენტრირებული იყო საოპერაციო ხარჯების ეკონომიასა და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაზე რათა მომავალში კომპანიამ მოიზიდოს ახალი კლიენტები და გაზარდოს პორტფელი, რამაც უნდა უზრუნველყოს საბროკერო შემოსავლის ზრდა და საქმიანობის მასშტაბების გაფართოება.

აქციონერის მიერ შეტანილი სახსრები გასესხებულია დაკავშირებულ მხარეზე. აღნიშნული სესხიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი საკმარისია კომპანიის საოპერაციო ხარჯების დასაფარად განჭვრეტად მომავალში. ამასთან, მოსალოდნელია, რომ სესხი სრულად დაბრუნდება კომპანიაში 2026 წლის ივლისში.

კომპანიის მომავალი გეგმები ასევე დამოკიდებულია საქართველოში კაპიტალის ბაზრის შემდგომ განვითარებაზე. კომპანიის მენეჯმენტს აქვს მოლოდინი რომ ზოგადად საქართველოს კაპიტალის ბაზარი და მათ შორის საფონდო ბირჟა მომავალში იქნება უფრო აქტიური და მიმზიდველი ყველა მონაწილისთვის.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში კომპანია შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუნქციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

#### 6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული სტანდარტებისა და ცვლილებების შესაძლო გავლენას ფინანსურ ანგარიშგებასა და შესაბამის შენიშვნებზე.

• ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენა და გამჟღავნება (ფასს 18)- ფასს 18 ანაცვლებს ბასს 1-ს, რომელიც ადგენს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენისა და ძირითადი გამჟღავნების მოთხოვნებს. ცვლილებები უმეტესად ზემოქმედებს მოგებისა და ზარალის ანგარიშზე და მოიცავს მოთხოვნას, რომ შემოსავლები და ხარჯები კლასიფიცირდეს სამ ახალ კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური; ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული, ეფექტურობის შესრულების საზომების, შემოსავლებისა და ხარჯების ქვეჯამების წარდგენას და ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგაციასა და დეზაგრეგაციასთან მიმართებით.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში და შეფასებაში (ცვლილება ფასს 9 და ფასს 7);
- არასაჯარო შვილობილი კომპანიები: ინფორმაციის გამჟღავნება (ფასს 19)- ეხება სუბიექტებს, რომლებსაც არ აქვთ საჯარო ანგარიშგების ვალდებულება, მაგრამ მათი მშობელი კომპანიები ამზადებენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სტანდარტების მიხედვით. ფასს 19 საშუალებას აძლევს შესაბამის კომპანიებს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან მიმართებით შემცირებული მოთხოვნების გამოყენება.

**შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**7. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

<b>პირვანდელი ღირებულება</b>	<b>ავეჯი და სხვა ინვენტარი</b>	<b>ოფისის აღჭურვილობა</b>	<b>სულ ძირითადი საშუალებები</b>
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>12,092</b>	<b>76,914</b>	<b>89,006</b>
შემოსვლა	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>12,092</b>	<b>76,914</b>	<b>89,006</b>
შემოსვლა	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>12,092</b>	<b>76,914</b>	<b>89,006</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>			
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>(7,997)</b>	<b>(13,114)</b>	<b>(21,111)</b>
დარიცხული ცვეთა	(2,386)	(25,194)	(27,580)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>(10,383)</b>	<b>(38,308)</b>	<b>(48,691)</b>
დარიცხული ცვეთა	(507)	(8,445)	(8,952)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>(10,890)</b>	<b>(46,753)</b>	<b>(57,643)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>			
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>4,095</b>	<b>63,800</b>	<b>67,895</b>
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>1,709</b>	<b>38,606</b>	<b>40,315</b>
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>1,202</b>	<b>30,161</b>	<b>31,363</b>

**შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**8. არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

<b>პირვანდელი ღირებულება</b>	<b>ლიცენზიები</b>
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>48,174</b>
შემოსვლა	-
გასვლა/ჩამოწერა	-
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>48,174</b>
შემოსვლა	-
გასვლა/ჩამოწერა	-
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>48,174</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>(31,473)</b>
ამორტიზაციის ხარჯი	(9,635)
გასვლა/ჩამოწერა	-
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>(41,108)</b>
ამორტიზაციის ხარჯი	(1,890)
გასვლა/ჩამოწერა	-
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>(42,998)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>	
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>16,701</b>
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>7,066</b>
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>5,176</b>

**9. ინვესტიციები**

კომპანია 2025, 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით ფლობს სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" აქციების 2%-ს, ღირებულებით 4,100 ლარი.

**10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>31 დეკემბერი 2024 (გადაანგარიშებული)</b>	<b>1 იანვარი 2024</b>
სავაჭრო მოთხოვნები			
დაკავშირებული მხარეების მიმართ	30,779	39,098	34,754
სხვა*	3,774	57,525	3,774
<b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>	<b>34,553</b>	<b>96,623</b>	<b>38,528</b>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	-
<b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო</b>	<b>34,553</b>	<b>96,623</b>	<b>38,528</b>

\*ინფორმაცია სხვა მოთხოვნასთან დაკავშირებით იხილეთ მე-16 შენიშვნაში.

**11. გაცემული სესხი**

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ დაკავშირებულ იურიდიულ პირზე გასცა სესხი 450,000 ლარის ოდენობით. სესხი გაცემულია წლიური 8%-იანი საპროცენტო განაკვეთით. სესხის ძირისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის თარიღია 2026 წლის 25 ივლისი.

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	11,992	110,830	1,004
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	5,163	41,518	-
ფული ბანკში საბროკერო საქმიანობისთვის ეროვნულ ვალუტაში	1,106	1,106	1,106
მოთხოვნამდე დეპოზიტები	428	265,420	261,235
<b>სულ</b>	<b>18,689</b>	<b>418,874</b>	<b>263,345</b>

### 13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, სხვა რეზერვს და დაუფარავ ზარალს.

#### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ ფულად შენატანებს.

#### სხვა რეზერვი

სხვა რეზერვი წარმოადგენს, საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ ფულად შენატანს, რომელიც არ არის კლასიფიცირებული საწესდებო კაპიტალის ზრდად.

#### მოთხოვნები კაპიტალთან დაკავშირებით

საბროკერო კომპანიებისთვის კაპიტალის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, კანონით "საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესი". ამ კანონის მიხედვით საბროკერო კომპანიის მთლიანი კაპიტალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 500,000 ლარს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით კომპანია აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის კანონით განსაზღვრულ კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნას.

ინფორმაცია კომპანიის მეწილის შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

2025 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია და გაუცია დივიდენდი. (2024: 0 ლარი).

### 14. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

### 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
სავაჭრო ვალდებულებები	15,965	3,933	612
სახელფასო ვალდებულებები	245	990	990
<b>სულ</b>	<b>16,210</b>	<b>4,923</b>	<b>1,602</b>

## შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 16. სხვა შემოსულობა

2024 წელს სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“ შორის მიმდინარე სასამართლო დავა დასრულდა და ბანკს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 53,751 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული თანხა კომპანიამ აღიარა როგორც სხვა შემოსულობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 17. თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა სარგებელი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
შრომის ანაზღაურება	(14,375)	(15,000)
სხვა სარგებელი	(138)	(150)
<b>სულ</b>	<b>(14,513)</b>	<b>(15,150)</b>

#### 18. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
პროფესიული მომსახურება	(5,900)	(5,900)
საფონდო ბირჟის წევრობის გადასახადი	(2,825)	(3,375)
ლიცენზიები ერთ წლამდე ვადით	(1,219)	(1,201)
იჯარის ხარჯი	-	(8,026)
სხვა	(242)	(3,768)
<b>სულ</b>	<b>(10,186)</b>	<b>(22,270)</b>

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი, რომელიც თავისი მოკლევადიანი ბუნების გამო აღიარებულია პერიოდის ხარჯად.

#### 19. პირობითი ვალდებულებები

##### გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით

მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

##### სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიმდინარე სასამართლო დავა 2024 წლის 26 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ.

## შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

დავა მიმდინარეობდა კომპანიის ყოფილ მფლობელსა და სს საქართველოს ბანკს შორის კონდიციური ვალდებულებებიდან გამომდინარე თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. საქმე ეხებოდა 2009 წლის 30 სექტემბერს გაფორმებულ შუამავლობის ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო სს საქართველოს ბანკს, შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტი“ და BBAM Limited-ს შორის. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტი“ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო თანხა 514,696 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ დავასთან დაკავშირებულ შესაძლო ფინანსურ რისკზე პასუხისმგებლობა აღებული ჰქონდა კომპანიის ყოფილ მესაკუთრეს.

2025 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის ყოფილი მესაკუთრის მიერ დაიწყო ახალი სასამართლო დავა შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტი“ წინააღმდეგ, რომლის ფარგლებშიც იგი მოითხოვს შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტისათვის“ 53,391 ლარის დაკისრებას, რომელიც კომპანიის სასარგებლოდ იქნა ჩარიცხული ზემოაღნიშნული დავის დასრულების შედეგად.

მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული სამართლებრივი დავის შედეგად კომპანიისგან ეკონომიკური სარგებლის გადინება მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიას არ შეუქმნია ანარიცხი აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით.

#### 20. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, ხოლო ძირითადი ფინანსური აქტივებია გაცემული სესხი, სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

#### საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე, გაცემული სესხს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2025 და 2024 წლის 31 მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2024
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34,553	96,623	38,528
გაცემული სესხი	465,682	-	-
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	-	-	103,362
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,689	418,874	263,345
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>518,924</b>	<b>515,497</b>	<b>405,235</b>

**შპს „აბი ასეტ მენჯემენტი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.** 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია მოდის დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ სესხზე, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივების ძირითად ნაწილს. მიუხედავად აღნიშნული კონცენტრაციისა, კომპანია არ მიიჩნევს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სესხის მიმღები წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს, რომლის ფინანსური მდგომარეობა კომპანიისთვის ცნობილია და ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

<b>ფინანსური აქტივები</b>	<b>ლარი</b>	<b>დოლარი</b>	<b>სულ</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34,553	-	34,553
გაცემული სესხი	465,682	-	465,682
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,525	5,164	18,689
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>513,760</b>	<b>5,164</b>	<b>518,924</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,210	-	16,210
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>16,210</b>	<b>-</b>	<b>16,210</b>

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

<b>ფინანსური აქტივები</b>	<b>ლარი</b>	<b>დოლარი</b>	<b>სულ</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	96,623	-	96,623
ფული და ფულის ეკვივალენტები	170,876	247,998	418,874
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>267,499</b>	<b>247,998</b>	<b>515,497</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,923	-	4,923
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>4,923</b>	<b>-</b>	<b>4,923</b>

**შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2024 წლის 1 იანვარის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

<b>ფინანსური აქტივები</b>	<b>ლარი</b>	<b>დოლარი</b>	<b>სულ</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	38,528	-	38,528
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	63,583	39,779	103,362
ფული და ფულის ეკვივალენტები	69,036	194,309	263,345
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>171,147</b>	<b>234,088</b>	<b>405,235</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,602	-	1,602
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,602</b>	<b>-</b>	<b>1,602</b>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>1 იანვარი 2024</b>
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	1,033	49,600	46,818
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(1,033)	(49,600)	(46,818)

მენეჯმენტი ცდილობს ნაშთების ვალუტებში გადანაწილებით მინიმუმამდე დაიყვანოს რომელიმე ვალუტის გაუფასურების მნიშვნელოვანი ნეგატიური ეფექტი.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, რადგანაც მის მიერ

გაცემული სესხი არ არის ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე. **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად უზრუნველყოფილი იყოს საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ყველა საანგარიშგები თარიღისთვის დასაფარია ერთ წლამდე პერიოდში.

**რეალური ღირებულება**

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით, შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

**კაპიტალის მართვა**

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
  - გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.
- კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს კანონმდებლობის მოთხოვნების და არსებული რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

**შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან**

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

<b>მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>	<b>კავშირის სახე</b>	<b>2025</b>	<b>2024</b>
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	30,888
სხვა საოპერაციო ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	8,311

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:

<b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>	<b>კავშირის სახე</b>	<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>1 იანვარი 2024</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	30,779	39,098	34,754
გაცემული სესხი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	465,682	-	-

<b>ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან</b>	<b>2025</b>	<b>2024</b>
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	7,500	7,500

**22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.